პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი, 1944 წ. № 255 (7208). ფასი 20 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ყოველდღიური მზრუნველობა ახალგაზრდა მუშებს. მოწინავე (1-ლი გვერდი).
დონეცის ბრძოლები თუჯს გეგმის გადამეტებით იძლევიან (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 19 დეკემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).
ღამის ბომბდამშენთა მოქმედება უნგრეთში (1-ლი გვერდი).
უთანასწორო ბრძოლა (1-ლი გვერდი).
ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა (1-ლი გვერდი).
დიდი ქართველი მეცნიერი (მე-2 გვერდი).
მზადება ახალი სამეურნეო წლისათვის (მე-2 გვერდი).
პროფესორი ვ. ზ. ღვალაძე (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები (1-ლი და მე-2 გვერდი).

ყოველდღიური მზრუნველობა ახალგაზრდა მუშებს

სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, მისთვის თავდადება შრომასა და ბრძოლაში საბჭოთა ადამიანების, ჩვენი ახალგაზრდობის განუყრელი თვისებებია. ეს თვისებები გასაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დღეებში.

მილიონობით საბჭოთა პატრიოტი იბრძვის ფრონტზე, იარაღით ხელში იცავს სამშობლოს სახელსა და ღირსებას. ზურგში—ფაბრიკა-ქარხნებში ფრონტზე წასულთა ადგილი დაიჭიროს უმთავრესად ახალგაზრდებმა. ისინი მოვიდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით: თავდადებული შრომით დაეხმარონ ფრონტსა და ქვეყანას გერმანელ დამპყრობთა განადგურებაში, მოვიდნენ მაღალი პატრიოტული განზრახვით.

მტრის უსწრაფესად განადგურების ამოცანა, ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობა მოითხოვს მუშათა ამ ახალი არმიის სასწრაფოდ აღჭურვას საწარმოო კვალიფიკაციით, ყოველგვარი პირობების შექმნას იმისათვის, რომ ყოველდღიურად იზრდებოდეს ახალგაზრდობის შრომის ნაყოფიერება წარმოებაში, რომ პროდუქცია გაეუწყვეტლივ მიედინებოდეს ფრონტზე.

ახალგაზრდობის აღზრდა, მისი საწარმოო გამოწრთობა ფაბრიკა-ქარხნების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამაზე ბევრადაა დამოკიდებული მრავალი საწარმოს წარმატება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა.

ახალგაზრდა მუშები სწორედ იქ მუშაობენ კარგად და მაღალნაყოფიერად, სადაც პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები დროზე ეხმაურებიან მათს მოთხოვნილებებს, აწყობენ ახალმოსულს შესაფერის სამუშაოზე, ზრუნავენ მისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მისი საყოფაცხოვრებო პირობების მოსაგვარებლად.

თბილისის 26 კომისრისა და კალინინის სახელობის ქარხნებში სერიოზული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა მუშების აღზრდას. მათთვის საინტერესო თემებზე ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები. ძველი მუშები უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას ახალმოსულებს. სტახანოვურ სკოლებში, ტექმინიმუმის შემსწავლელ წრეებში და ინდივიდუალური სწავლების წესით ხდება ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლება. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ზრუნავენ ახალგაზრდობის გონივრული დასვენების მოწყობისათვის. ამიტომ ამ საწარმოებში ძნელად თუ იპოვით ისეთ ახალგაზრდას, რომელიც გეგმას ვერ ასრულებდეს.

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებამ ახალი შრომითი მამაცობისათვის აღაფრთოვანა ახალგაზრდები. ბელადის ისტორიული მოხსენების პასუხად მათ ფიცი დასდეს უკეთესად იმუშაონ და ამით დაეჩქარონ მტერზე ჩვენი გამარჯვება. ბელადის სახელობის ქარხანაში ხარატების ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. პელაშვილი ხელმძღვანელობს, ყოველთვიური გეგმის 200 პროცენტით შესრულება იკისრა, ასრულებს კი 300 პროცენტით. 26 კომისრის სახელობის ქარხანაში სამსხმელო საამქროს ფრონტული ბრიგადა (ბრიგადირი ამხ. ჩუტკერაშვილი) ბელადის მოხსენების პასუხად სტალინურ ვახტზე დადგა და 250 პროცენტის ნაცვლად 275 პროცენტით შეასრულა დავალება.

ახალგაზრდების ეს და მრავალი ასეთივე წარმატება მიღწეულია პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად, ახალმოსული მუშებისადმი ბოლშევიკური მზრუნველობის შედეგად.

მაგრამ ზოგან საკმაო ყურადღება როდი ექცევა ახალგაზრდა მუშების აღზრდას. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ივიწყებს თავის როლს ამ საქმეში. არის შემთხვევები, როცა ქარხანაში ახალმოსული ახალგაზრდა ვერ პოულობს სათანადო მხარდაჭერას, ვერ გრძნობს ზრუნვას მისადმი. ხშირად ახალმოსულს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ, არ ეხმარებიან კვალიფიკაციის ამაღლებაში. ამიტომაც ზოგჯერ ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას, სამუშაოს მიტოვების შემთხვევებსაც კი. კომკავშირის ორგანიზაციას ეს ფაქტები არ აღელვებს, იგი გადამჭრელ ზომებს არ იღებს მათ აღსაკვეთად.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენებისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობის გამო, ორთვენახევრის განმავლობაში 51 ახალგაზრდამ მიატოვა სამუშაო. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა კიროვის სახელობის ქარხანაში, სატრიკოტაჟო კომბინატში, მაუდ-კამოლის ფაბრიკაში.

ახალგაზრდობის აღზრდა სერიოზული საქმეა. იგი დიდ დროს, თანმიმდევრულ და ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს. საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები არ უნდა დაკმაყოფილდნენ ახალმოსულებთან ერთი-ორი საუბრის მოწყობით. საჭიროა ახალგაზრდების წრეში ყოველდღიურად ტრიალი, მათი მისწრაფების, უნარისა და ინტერესების ცოდნა, მათი პოლიტიკური და საწარმოო ზრდისათვის თვალყურის დევნება და ხელის შეწყობა.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია პოლიტიკურად აღზარდონ ახალგაზრდა მუშები. ამისთვის უნდა გამოვიყენოთ აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა ფორმა. საუბრები სამშობლოს წინაშე ახალგაზრდა მუშების მოვალეობაზე, ქარხნის მოწინავე ადამიანებზე, ფრონტისა და ზურგის სახელოვან ახალგაზრდებზე, მოხსენებები პოლიტიკური ხასიათის თემებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე და იმ საკითხებზე, რომელიც აღელვებს და აინტერესებს ახალგაზრდობას—ყველა ეს მდიდარი შესაძლებლობანი ფართოდ უნდა გამოიყენონ საწარმოთა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

სტახანოვურ სკოლებში და ტექმინიმუმის შემსწავლელ წრეებში უნდა მივიზიდოთ ყველა ახალმოსული, ისე მივაყოთ საქმე, რომ ეს სკოლები და წრეები ნორმალურად მუშაობდნენ და ნამდვილად უზრდიდნენ საწარმოს კვალიფიციურ მუშათა კადრებს.

ახალგაზრდობის აღსაზრდელად არანაკლები მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს, აგიტაციას პრაქტიკული საქმეებით. ყოველი კომკავშირელი, რა უბანზეც უნდა მუშაობდეს, მოვალეა სამაგალითო იყოს შრომასა და დისციპლინაში.

ახალგაზრდა მუშების აღზრდა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ მზრუნველობას მოითხოვს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ, რათა საწარმოში ახალმოსული გაიზარდოს იდეურად და ტექნიკურად, მისი საყოფაცხოვრებო პირობები მოგვარებული იყოს. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციამ კარგად იცოდეს, რა მუშაობას ეწევა კომკავშირი ახალგაზრდა მუშების აოსაზრდელად, დაეხმაროს და უხელმძღვანელოს მას ამ მუშაობაში.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები. ეს საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს: გულდასმით მოამზადონ და მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაატარონ საანგარიშო-საარჩევნო კრებები. საჭიროა ამ კრებებზე ფართო მსჯელობის საგნად გავხადოთ ის მუშაობა, რასაც ეწევა კომკავშირული ორგანიზაცია ახალგაზრდა მუშებში, მკაცრად გავაკრიტიკოთ ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებანი. კრებაზე მიღებულ დადგენილებებში ძირითადი ადგილი უნდა დავუთმოთ ახალგაზრდა მუშების პოლიტიკური და საწარმოო აღზრდის საკითხებს და შემდგომში თანმიმდევრულად, გულდასმით ვიმუშაოთ მათი განხორციელებისათვის.

დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდობის შრომას სამამულო ომის დღეებში. მან სთქვა:

„სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ქალები, ჰაბუკები და ქალიშვილები მამაცობასა და გმირობას იჩენენ შრომის ფრონტზე. ისინი აღმოჩნდნენ ღირსნი თავიანთი მამებისა და ვაჟიშვილებისა, ქმრებისა და ძმებისა, რომლებიც სამშობლოს იცავენ გერმანელ ფაშისტ მტაცვალთაგან“.

პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მათი ხელმძღვანელობით ახალგაზრდობამ ბოლომდე გაამართლოს ეს მაღალი შეფასება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

19 დეკემბრის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ქალაქ კოშიცეს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და საინჟინრო დაბრკოლებანი მთიან-ტყიან ადგილში და დაიკავეს დასახლებული პუნქტები დავიდოვი, ცაგოვი, გაჩკოვი, დარგოვი, კერესტური, ნოვოე მესტო, სილვაში, სლანსკა გუტა, სკაროში, ნადოშტი და რკინიგზის სადგური კალშა.

ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა 16-დან 19 დეკემბრამდე ტყვედ წაიოყვანეს 2.044 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე დროს ქალაქ კოშიცეს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები სენია, პერინა, ვიშნი ლანცი, ნიჟნი ლანცი, ჟარნოვი, ტურნია, დვორნიკი, გრგოვი, იაბლონცა, სილიცა, ბაზოვა და რკინიგზის სადგური მიგლეცი, ტურნია.

უნგრეთის ქალაქ მიშკოლცის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დაიკავეს დასახლებული პუნქტები კრალინი, მეხი, ფიბა, ჯუმინცა, ვესკა, რაბლოვცე, ცაკოვი, ხანავა, ივანიცე, ზადორი, ჩიზი, ლინგბარტოვცე, იენე. 18 დეკემბრის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა ამ რაიონში ტყვედ წაიოყვანეს 1.800 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უნგრეთის ტერიტორიაზე ქალაქ დიოსდიოშის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები ოტხაზხუტა, ალშოხუტა, ხასნოში, ტარი, მატრა-ვეშეგელი, შამშოხნაზა, ნად-ბარკანი, ლუცინი, ნიირეში.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ქალაქ კოშიცეს აღმოსავლეთით გერმანელები შეუპოვრად იცავენ გზას, რომელიც აქ მთიან-ტყიან რაიონში გადის. მოწინააღმდეგემ მთის კალთებზე დასდგა საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეები. მთების ძირში ჰიტლერელებმა ააგეს საინჟინრო დაბრკოლებანი და გააკეთეს ტრანშეებისა და სანგრების რამდენიმე ხაზი. საარტილერიო მოშზადების შემდეგ ჩვენი გვარდიული ნაწილები იერიშზე გადავიდნენ და შეიჭრნენ მოწინააღმდეგის სანგრებსა და ტრანშეებში. სპეციალურად გამოყოფილი მეავტომატე-გრანატმტყორცნელთა ჯგუფები გარშემოვრტყნენ და ჩაახშეს მტრის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი და სატყვიამფრქვევო ბუდეები. გაფთრებული ბრძოლის შედეგად საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი დარგოვი — გერმანელთა დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავდა კოშიცესაკენ მიმავალ გზას. ჩვენი ჯარების დარტყმით უკანდახეულმა მოწინააღმდეგემ ბევრი საჭურველი და სამხედრო მასალა მიატოვა.

ქალაქ კოშიცეს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა ღამის ბრძოლაში გაანადგურეს უნგრელთა მე-19 ქვეითი პოლკი. ხელთ ვიგდეთ 800-ზე მეტი ტყვე და ბევრი საჭურველი. დასახლებული პუნქტის ნადოშტის მახლობლად საბჭოთა ტანკები და მოტოქვეითი ჯარი მდგარე გერნადის გადასასვლელთან შეჯგუფებულიყვნენ. მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა თავს და ცდილობდა შეენარჩუნებინა გადასასვლელი და დრო მოეგო. ჩვენმა მოძრავმა რეზერვებმა ერთსა და იმავე დროს ფრონტიდან და ფლანგებიდან დარტყმით მტერი გაანადგურეს. ბრძოლის ველზე დარჩა ასობით ჰიტლერელთა გვამი. მტრის 700-ზე მეტმა ჯარისკაცმა იარაღი დაჰყარა და ტყვედ დაგვნებდა. გერმანელებს წაართვეთ 2 ტანკი, 18 ქვემეხი, 12 ნაღმსატყორცნი, 42 სატყვიამფრქვევი, ბევრი მაშინანი, ავტომატი და სხვადასხვა სამხედრო მასალა.

ქალაქ კოშიცეს სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დასაყრდენი პუნქტი სენია, რომელიც 16 კილომეტრზე მდებარეობს კოშიცედან. ამ რაიონში გერმანელებმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. მაგრამ უკოკესულ იქნენ მათთვის დიდი ზარალის მიყენებით.

* * *

უნგრეთის ქალაქ მიშკოლცის ჩრდილო-დასავლეთით ნ შინაურთის ნაწილები მდინარე სლანაში გავიდნენ. გერმანელებმა რეზერვები მოიშველიეს და ორაერთგზის ცდილეს მოესპოთ ჩვენი პლაცდარმი. საბჭოთა ნაწილებმა არა თუ მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები, არამედ ბრძოლებით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. დღის განმავლობაში ამ უბანზე გაელეტილია 400-მდე გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უნგრეთის ტერიტორიაზე, ქალაქ დიოსდიშის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ერთ უბანზე მოწინააღმდეგე ხეობაში გამაგრდა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გადაეღობა გზა ჩვენს მსროლელ ნაწილს. რიგითი კურტომანოვი პლასტუნურად მიხოხდა გერმანელთა წინა კიდესთან, მათს სანგრებში ჩახტა და ხიშტით დახოცა ექვსი ჰიტლერელი. კურტომანოვმა ხელთ იგდო მტრის ტყვიამფრქვევი და გერმანელებს დაუშინა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ისარგებლეს ჰიტლერელთა შორის მომხდარი არეულ-დარეული, სწრაფად შეჭიდნენ ხეობაში და დაიკავეს მოწინააღმდეგის დიდნაშენელოვანი დასაყრდენი პუნქტი.

* * *

უნგრეთში წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა უნგრელთა მე-3 ჰუსართა პოლკის 68 ჯარისკაცი. გადმოსულმა კაროლ ბოდომ განაცხადა: „ჩვენი პოლკი განადგურებულ იქნა უკანასკნელ ბრძოლებში. მისი ნაშთები, რიცხვით 220 კაცი, გადაქცეულია მებრძოლ ჯგუფად. ოფიცრები და ჯარისკაცები ცუდ გუნებაზე არიან, ყველას ესმის, რომ მახლობელ დროში უნგრეთი მთლად იქნება დაკავებული წითელი არმიის მიერ. ამ დღეებში ჯარისკაცებმა ჭკთხეს პრაპორშჩიკ ბელა კარიკაშს: „ჩვენი ნაწილები უკან იხევენ და მალე ავსტრიის საზღვრამდე მივალენ. რაღა უნდა ექნათ ახლა?“ პრაპორშჩიკმა მიუგო: „ჩვენ ერთი გონივრული გამოსავალი გვაქვს — გავწყვეტთ კავშირი გერმანელებთან და რუსების მხარეზე გადავიდეთ“. მეორე დილას, 12 დეკემბერს, ჩვენი ოცეულის ჯარისკაცებმა იარაღი დაჰყარეს და რუსების მხარეზე გადმოვიდნენ. გერმანელებმა, რომელთაც თავდაცვა ჩვენს უკან ეკავათ, სროლა ატეხეს. მაგრამ ჩვენ მივაღწიეთ რუსების პოზიციებამდე და მხოლოდ ერთი კაცი დავკარგეთ. მეზობელი ოცეულის ჯარისკაცებმა ჩვენს მაგალითს მიბაძეს“.

ბელორუსიის 1-ლ ფრონტზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა უნგრელთა მე-5 მსუბუქი ქვეითი დივიზიის 52-ე პოლკის 1-ლი ბატალიონის ჯარისკაცთა ჯგუფი. ტყვე ეფრიტრმა სპომ სთქვა: „ამას წინათ წერილი მივიღე დედაჩემისაგან. იგი მწერს, რომ გერმანელები ძარცვავენ უნგრელებს, მიპყავთ პირტყვი, მიაქვთ კვების პროდუქტები. ბანსაცმელი და თიხსაცმელი. ამის შესახებ ჩემს ამხანაგებს ვეუბნები და შევთანხმდით რუსების მხარეზე გადმოსულიყავით. ჩვენ წამოვიოთხენი მარტო შაშანარი და გრანატები, არამედ კიდევ სამი ტყვიამფრქვევი და ოთხი ავტომატი და მშვიდობით მოვაღწიეთ საბჭოთა ჯარების განლაგებამდე“.

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კომპანიის ათენელი კორესპონდენტის ცნობით, ინგლისის ჯარებმა საკუთარი გასწმენდეს გზა, რომელიც ათენსა და პირეის ნავსადგურს აერთებს. ინგლისელთა გარნიზონმა, რომელიც სპატიბროს იცავდა ათენში და რომელზედაც გუშინ პარტიზანებმა იერიში მიიტანეს, უკან დიხია და თავის წაიყვანა რამდენიმე პოლიტიკური პატიმარი.

მეორე კორესპონდენტის ცნობით, ინგლისელთა დიდი ძალები გაემართნენ გარნიზონის დასახმარებლად, რომელიც ინგლისიდან საპაერო ძალების შტაბს იცავდა საბერძნეთში. ფიქრობენ, რომ მოსალოდნელია შტაბის ევაკუაცია მას შემდეგ, რაც ეს ჯარები გარნიზონს შეუერთდებიან.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 19 დეკემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ ბოსნიაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა სავსებით გასწმინდეს მოწინააღმდეგისაგან მდინარე დრინის მთელი მარჯვენა ნაპირი ქალაქ ბანია ბაშტიდან მდინარის შესართავამდე. ზვორნიკსა და დრინიჩის შუა მდებარე რაიონში გარშემორტყმულია გერმანელთა დივიზიის ნაწილების დიდი დაჯგუფება.

მდინარე ბოსნის ხეობაში მაგლაისა და უსორას შუა დამარცხებულია გერმანელთა მოტორიზებული კოლონა.

ჩერნოგორიაში გრძელდებოდა ბრძოლები კოლაშინ-მოიკოვაცის სექტორში.

ხორვატიაში ლიკვიდირებულია გერმანელთა ძლიერი დასაყრდენი პუნქტი რემეტინაცი ზაგრების მახლობლად.

სლოვენიაში გრძელდება ბრძოლები გერმანელთა ნაწილებთან, რომლებმაც შეტევითი ოპერაციები დიწყეს ლავის ხეობაში.

პოლონელი ხალხის ხმა

ლიუბლინი, 19 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“ აქვეყნებს ადგილებიდან მიღებულ დემოკრატიული პარტიების ორგანიზაციების და მოსახლეობის კრებების მრავალ რეზოლუციას, რომლებიც მოითხოვენ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის გარდაქმნას პოლონეთის რესპუბლიკის დროებითს ნაციონალურ მთავრობად.

პოლონეთის განთავისუფლების კომიტეტის კონგრესი საფრანგეთში

პარიზი, 19 დეკემბერი. (საკდესი). აქ 17 დეკემბერს გაიხსნა კონგრესი პოლონეთის განთავისუფლების კომიტეტისა საფრანგეთში, რომელიც წარმოადგენს 400 ათასზე მეტს, ე. ი. იმ პოლონელთა დიდ უმეტესობას, რომლებიც საფრანგეთში ცხოვრობენ. კონგრესს ესწრება დაახლოებით 700 დელეგატი საფრანგეთის ყველა დეპარტამენტიდან.

კონგრესს ყველა მონაწილეს უკავია ლიუბლინში მყოფ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის უსიტყვო მხარდაჭერის პოზიცია. ყოველივე, როდესაც ორატორები მოითხოვდნენ ამ კომიტეტის გარდაქმნას პოლონეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობად, დარბაზში გაისმოდა ხანგრძლივი მძლავრი ოვაცია და შეძახილები: „გაუმარჯოს პოლონეთის მთავრობას ლიუბლინში!“.

ყრილობას ესწრება მთელი რიგი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც სიტყვები წარმოსთქვეს.

ღონეცის ბრძოლები თუჯს გეგმის გადამეტებით იძლევიან

კუზნეცკისა და მაგნიტკის მეტალურგთა მოწოდების საპასუხოდ დონეცელმა მეტალურგებმა იკისრეს ვადამდე დამთავრონ წლიური პროგრამა თუჯის, ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის გამოშვების დარგში. ვალდებულებანი პირველებმა შეასრულეს მეგრძმედეებმა. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მებრძმედეებმა წლიური გეგმის გადამეტებით უკვე გამოადნეს 7.700 ტონა თუჯი. ვადამდე შეასრულეს თუჯის გამოდნობის წლიური გეგმა კონსტანტინოვკის ფრუნზეს სახელობის ქარხნის მებრძმედეებმა. მაკეევკის მებრძმედეებმა ამ დღეებში გამოადნობენ თუჯის უკანასკნელ ტონეს წლიური გეგმის ანგარიშში. (საკდესი).

ღამის ბომბდამშენთა მოქმედება უნგრეთში

ღამის მსუბუქ ბომბდამშენებს ეძახელებოდათ ფრენა კარპატო მთებსა და ტრანსილვანიის ალპებში. კარგა მაღლა უნდა ეფრინათ, რომ მთის მწვერვალებს არ დაჯახებოდნენ. მაგრამ უხგრეთის ვაკეზე ფრენა გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე კარპატის მთებში.

უნგრეთის ვაკეზე ძალიან ცოტაა დამახასიათებელი ორიენტირი, ცოტაა დიდი დასახლებული პუნქტი. ბევრია პატარა ხუტორი და მეჩამულის კარ-მიდამო. ყველა ისინი ახლოა ერთან ერთმანეთთან და ფრენის დროს მაღლიდან კაცს ეჩვენება, რომ ძირს ერთი დაახლოებული პუნქტი გადაჭიმული ათობით კილომეტრ მანძილზე. ტბებსა და ჭაობებს ნაპირი გადმოულახავთ და უდიდესი სიფრთხილეში დაუფარავთ. ყოველივე ეს დიდ სიძნელეებს ქმნის ორიენტირებისათვის. ღამით კი ამ ფენეთ დამახასიათებელ ორიენტირთა გარჩევაც ძნელია.

მიუხედავად ამისა, ფრენა ყოველ ღამე ხდება. მთელი ღამეებით საბჭოთა ბომბდამშენები თავს დასტრიალებენ გერმანელთა ჯარების წინა კიდესა და მეზობელ ზურგს, ერთ წუთს მოსვენებას არ აძლევენ მათ.

ამ დღეებში ერთ-ერთ საბჭოთა თვითმფრინავს, რომელიც საბრძოლო დავალებას ასრულებდა, საზენიტო ქვემეხთა ძლიერი ცეცხლი დაეშინა მოწინააღმდეგემ. ყუმბარები სკდებოდა მანქანის გარშემო. ამ დროს მეორე ბომბდამშენი, რომელიც კაპიტან სამკოვს მიჰყავდა, 400 მეტრ სიმაღლეზე ჩამოვიდა და სროლა აუტეხა მტრის საზენიტო ზარბაზანს. ავტომატური საზენიტო ზარბაზანმა სროლა შესწყვიტა. საბჭოთა მფრინაველმა წარმატებით შეასრულა დავალება. მათ იმ ღამეს სამ-სამი, ოთხ-ოთხი საბრძოლო გაფრენა მოახდინეს.

ღამით გამოაკუთრებით ძნელია შენიღბული მტრის პოვნა. ამ პირობებში ბომბდამშენებს დიდ სამსახურს უწევს პირველი, ყველაზე გამოცდილი ეკიპაჟი, რომელიც წინ გაუძღვება. ამასწინათ დაზვერვამ ცნობა მოიტანა, რომ ერთ დასახლებულ პუნქტში გაჩერდა მტრის დიდი ავტოკოლონა, რომელიც მოწინააღმდეგის ბოდაპეშტის დაჯგუფების დასახმარებლად მიდიოდა. საჭირო იყო ამ ავტოკოლონის განადგურება. მაგრამ ეიროკი ამ ადგილი საშუალო და მძიმე ბომბდამშენთა გაფრენას. მაშინ დაიარების შესასრულებლად „პოლიკარპოვები“ გაფრინდნენ. უმცროს ლეიტენანტ ალიჭანოვი ანიამოვის ეკიპაჟი ზეო დასახლებულ პუნქტთან მიფრინდა. შეტურმანმა ლეიტენანტმა ოსეტროვმა შენიშნა ძირს დაბალ ღრუბლებში ავტომანქანების ოარნები, რომლებიც ოდნავ ანათებდნენ. მოწინააღმდეგეს არ ეგონა, რომ ასეთ ამინდში საბჭოთა თვითმფრინავები გამოჩნდებოდნენ. მფრინავნი ემცროსძა ლეიტენანტმა ანიამოვმა მოტორი მიაჩუმა, უხმაუროდ დაეშვა ორუბლებს ქვეშ და შუაგულ ავტოკოლონაში ჩამოყარა ბომბები. გაჩნდა ხახვარი, გაისმა აფეთქების ხმები, თავაზარაცემულმა გერმანელებმა ასტეხეს საზენიტო ქვემეხთა უწესრიგო სროლა, ამავრამ მფრინავმა დავალება შეასრულა და ამვიდობით დაბრუნდა თავის აეროდრომზე. ნახანძრა კერებს უთვალთვალებოდნენ სხვა მფრინაველები და ზუსტად ბომბავდნენ კარგად განათებულ სამიზნოს. მტრის კოლონა განადგურებულ იქნა.

მტრის დაბაყრდენი პუნქტის ირგვლივ ორიოდ ღამის მფრინაველმა სროლა ატეხა. ეს ოფიცერ-კაპიტანმა გორშენინმა წითელარმიელთა ჯგუფთან ერთად ავტომანქანით 40 კილომეტრზე წინ წაიწია ფრონტის ზაზისაკენ. ორგვლივ ყველაფერი ნაპირიდან გადმოსული ტბებისა და ჭაობების წყლით იყო დაფარული. ეებერთელა წყლის სიერცის ცენტრში პაწაწინა კუნძულზე მოწყობილი იყო სასიგნალო პოსტი. უფროსმა სერჟანტმა სმიკოვმა რადიოთი აცნობა აეროდრომს პოსტის განლაგების ადგილი. თვითმფრინავები ზედიზედ გაეშართნენ ფრონტის ზაზისაკენ. გზაზე ისინი გარკვეეთ ხედავდნენ უფროს სერჟანტ სმიკოვის სიგნალებს. იმ ღამეს „პოლიკარპოვებმა“ ასამდე თვითმფრინავეფრენა მოახდინეს. მათ ზუსტად დააყარეს ბომბები მტრის წინააღმდეგობის კვანძს და დაუზარალებლად დაბრუნდნენ თავიანთ აეროდრომებზე.

ერთ-ერთი გზატკეცილით უკან იხევდა მოწინააღმდეგის დიდი კოლონა. მფრინავმა უმცროსმა ლეიტენანტმა სერგი კორნეევმა და შეტურმანმა უმცროსმა ლეიტენანტმა მიხეილ ემელიანოვმა, რომელნიც გზატკეცილზე გაეფრინენ, დაინახეს იქ გერმანელთა ბევრი ალალი. შეტურმანმა ემელიანოვმა მოაბრუნა თვითმფრინავი კოლონის გასწვრივ, რომელიც რამდენიმე კილომეტრზე იყო გაჭიმული, და ტყვიამფრქვევი დაუშინა მას. ღამის ბომბდამშენის მარჯვე სროლისაგან ცეცხლი წაეკიდა ავტომანქანებს, გადაყირავდა საზიდრები. მაგრამ აი ერთ ადგილას ემელიანოვმა შენიშნა მტრის ყველაზე ბევრი ავტომანქანა. ერთი წუთის შემდეგ ბომბდამშენმა ბომბები ჩამოყარა აქ. ღამის განმავლობაში ეს კოლონა რამდენჯერმე დაბომბეს სხვა ეკიპაჟებმაც.

ჩვენმა სახმელეთო ჯარებმა, რომლებმაც ძალას დაიკავეს ეს გზატკეცილი, ნახეს აქ მტრის ტექნიკის სასაფლაო და მტრის ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდძალი გვამი.

მაიორი დ. ლოგანოვი

უნგრეთი, 18 დეკემბერი, (საკდესის ხპეც. კორ.).

უთანასწორო ბრძოლა

ამ დღეებში საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ ცნობა გამოაქვეყნა ლეიტენანტ პანკოვის 12 წითელარმიელისა და ჰიტლერელთა 2 ასეულის უთანასწორო ბრძოლის შესახებ. ეს ამ ბრძოლის დაწვრილებითი ცნობები.

კაპიტანს ნახანკოვიოს ბატალიონის მიერ დაკავებულ უბანზე ჰიტლერელებმა ბრძოლით დაზვერვა მოახდინეს; მათი მიზანი იყო გამოეკვლევინათ ჩვენი ცეცხლითი საშუალებანი და ხელში ჩაეგდოთ ტყვეები. მოწინააღმდეგეს აქ ადგილის ხელსაყრელი პირობები იზიდავდა. ჩვენი საბრძოლო ოცეულ მარჯვენივ დიდი ტყე იყო. მარცხნიდან ჰიტლერელებს შეეძლოთ შეუმჩნეველად მოახლოებულიყვნენ პატარა მდინარის ნაპირის გასწვრივ.

ბერმანელებმა ოოოცეულ სცადეს შემოეწოთ ჩვენს განლაგებაში, მაგრამ ორივე ცდა წარმატებით მოგერიებულ იქნა. მოწინააღმდეგე მაინც არა ცხრებოდა. ჰიტლერელებმა მნიშვნელოვანი ძალები დაძარეს ჩვენი წინა კიდისაკენ, დაუსახეს მათ ამოცანა—ბატალიონისაგან მოეწყვიტათ ჩვენი საბრძოლო ოცეული. ერთი ასეული ჰიტლერელი ტყით წამოვიდა, მეორე—მდინარის ნაპირით.

ბნელი ღამე იყო. საბრძოლო ოცეულ მეთვალთვალეებმა მოწინააღმდეგე შენიშნეს. როცა ეგი ფლანგიდან მოიქცა დაცვას, მაგრამ ლეიტენანტმა პანკოვმა საღამოსკენ განალაგა ადამიანები, შემდეგ მრავალჯერ ჩამოოარა ყველა მებრძოლს და ინსტრუქცია მისცა მათ. ამას ამაოდ არ ჩაუვლია.

ჰიტლერელები უკვე 40 მეტრზე მიუახლოვდნენ დაცვას, მაგრამ მათთვის სროლა არავის აუტეხია. ამან მოატყუა მტრის ჯარისკაცები და ისინი გაოფრთხილებლად მოდიოდნენ წინ. მაგრამ შაშანები და ავტომატები უკვე დამიზნებული იყ

დიდი ქართველი მეცნიერი

(აკადემიკოს ნიკო მარის გარდაცვალების ათი წლისთავი)

ათი წლის წინათ გარდაიცვალა საბჭოთა მეცნიერი, ლენინის ორდენოსანი ბოლშევიკი-აკადემიკოსი, საქავშირო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნიკო იაკობის-ძე მარი, მის სახელთან დაკავშირებულია ენათმეცნიერებაში მთელი ეპოქის შექმნა.

მართალია, ნ. მარიისდენ ქართველოლოგიურ-ენათმეცნიერებაში ბევრი რამ ჰქონდათ გაკეთებული ბროსეს, ჩუბინაშვილს, ცაგარელს და სხვებს, მაგრამ ეს დარგი მაინც თავის შემამზადებელ საფეხურზე იდგა. ნიკო მარი ათასობით მთელ რიგ ეურსალებს, ბეჭდავს ძველი ქართული მწერლობის საუცხო ნიმუშებს, ორიენტალისტების თაროებიდან ამხეურებს საუკუნეთა მტვრით შეკერცხლილ დოკუმენტებს და, ამგვარად, საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ მდიდარ მემკვიდრეობაზე, რომელიც დაგვიტოვეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა.

1902 წელს ნიკო მარი ივანე ჯავახიშვილთან ერთად მიემგზავრება სინაი მთაზე იქ დაცული ქართული ხელნაწერების შეგროვებისა და შესწავლის მიზნით. ამ ექსპედიციამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

მარმა გამოსცა მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", რომელიც ერთ-ერთი უმესანიშნავესი ძეგლია ძველი ქართული მწერლობისა. მანვე ცალკე წიგნებად გამოსცა მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ძეგლი. ამ გამოცემებმა მარს დიდი ფილოლოგის სახელი მოუტეხეს. მან ქართული ფილოლოგია ერთობაშად აიყვანა კლასიკური ფილოლოგიის სიმაღლემდე.

მარის ყურადღების ცენტრში იმთავითვე დაესვა შოთა რუსთაველისა და მისი პოემის პრობლემა. მან ჯაბაჩა რუსთაველის მსოფლმხედველობის რამდენიმე საკვანძო მნიშვნელობის საკითხი და რუსთაველოლოგია ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა. რუსთაველს ირგვლივ ბევრი რამ დაწერილა. მაგრამ ამ შრომათა რიგში მარის გამოკვლევები დღესაც ინარჩუნებენ ცხოველ ინტერესს.

„ვეფხისტყაოსნის" გარდა მარის ყურადღება მიიპყრო ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებმაც. მან პირველმა მეცნიერულად დაადგინა ტექსტი და გამოსცა ისეთი ძეგლები სახოტრო პოეზიისა, როგორიცაა „თამარიანი" და „ბაბილონელნი". დღევანდლამდე ეს გამოცემები ერთადერთი ავადმეტერი გამოცემებია. მანვე გადაწყვიტა „ამირან დარეჯანიანის", „ვისრამიანისა" და სხვა თხზულებათა ძირითადი მნიშვნელობის რამდენიმე საკითხი. ამდენად, ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლაში მარის დამსახურება უდიდესი.

ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას ნ. მარმა მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნა. პირველად მან მოგვცა გამოჩენილი ფილოსოფოსის პეტრიწის ფილოსოფიური აზროვნების ანალიზი.

მარი ცნობილი არქეოლოგიცაა. 1892 წლიდან მოყოლებული 1917 წლამდე დროგამოშვებით წარმოებულმა ქალაქ ანისის გათხრებმა ცხადი გახადეს ქართველ-სომეხთა და საერთოდ კავკასიის ტომთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა. საბჭოთა არქეოლოგიაში მარის შრომებს ფარავენული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვთ. მატერიალური კულტურის ისტორია მან დაუკავშირა საზოგადოებრივი ფორმაციების ისტორიას.

დიდი ამაგი დასდო მარმა ენათმეცნიერებას. 1908 წელს გამოიცა მარის შრომა „ძველი ქართული ენის ძირითადი ტიპები". ამ შრომის საფუძველზე და ამავე დროს სხვა მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის მეცნიერების წინაშე 1909 წელს პროფესორი მარი აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ამიერიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის გარდა ნ. მარის სარბელი მეცნიერებათა აკადემია გახდა. სახელოვანი მეცნიერის წინაშე კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები გადაიშალა. მან იმთავითვე კარგად შეიგნო, რომ ქართული კულტურის ფესვების გასაგებად აუცილებელია მცირე აზიის გადაშენებული კულტურული ენების შესწავლა და გამოკვლევა. ამ თვალსაზრისით მისი უურადღების ცენტრში დადგა ხეთური, ხალდური, სომერული და სხვა ენები. პარალელურად მარი სომხურ ენასაც იკვლევდა. ღიმბეგლდა მარის ვრცელი შრომა 12 ნაწილად. ამ შრომაში იგი ქართულ-კავკასიურ ენებს და ბერეთელ ძველი ალმოსავლეთის კულტურულ ენებს იაფეტური ენების სახელს უწოდებს. 1918 წელს მეცნიერებათა აკადემიაში არსებობა იაფეტური თეორიის ინსტიტუტი. 1925 წელს ლენინგრადში ქვეყნდება მარის ძველი ქართული ენის გრამატიკა. 1927-28 წლებში სამ-სამი თვით ბაზის იწვევენ ბაზიზში. ქართული ენის თეორიული კურსის წასაკითხავად იქნაურ უმაღლეს სასწავლებლებში. 1931 წელს ბაზიზში თარგმნილად აბეჭდება მარის 800-გვერდიანი წიგნი სათაურით: „ქართული ენა". მარტო აქედან ჩანს, რომ მარის დამსახურება ქართული ენის შესწავლის საქმეში დიდია. მართალია, მის მრავალრიცხოვან ქართველოლოგიურ ნაშრომებში ბევრი საკამათო და ჰიპოთეზური, ძალიან ეს ფართი პოზიტიური შედეგები, რომლებიც მიღებული აქვს ავტორს, დარჩება მეცნიერებაში, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა.



თეორიული ენათმეცნიერების დარგში ნ. მარს მნიშვნელოვანი დამსახურება მიეძღვის. იგი მუშაობდა ენობრივი საკითხების მარქსისტულად გაშუქებისათვის. მარის შრომებში ენა გაგებულია, როგორც ზედნაშენი ეტაგორია, გამაბალანსებელია ყურადღება მეტყველების კლასობრიობაზე, ენის წარმოშობის საკითხი სენთმეცნიერი ძიების საკვანძო კითხვად ისახება და ამავე დროს ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკის საპერიოდო მასალად გამოყენებულია ქართველური და კავკასიური ენები.

მარი ენერგიულად იბრძოდა რასული „თეორიის" წინააღმდეგ. „თეორიისა", რომელიც ინდო-ევროპიანისტიკის ყველაზე რეაქციულ ფრთიდან მომდინარეობს და რომელიც ისტორიულად განწირული ფაშიზმის იდეოლოგიის დასაყრდენი.

შეელეარე ტემპერამენტის მქონე ნ. მარი არ იყო კარჩაკეტილი მეცნიერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაუსაკუთრებით გაფართოვდა მისი სახოგადოებრივი მუშაობა. იგი, როგორც საბჭოთა მეტრიოტი, ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1923 წელს მეცნიერ მუშაკთა საკავშირო ყრილობამ მარი თრჩია სექციის ეტმტრალური საბჭოს თავმჯდომარედ. 1925 წლიდან იგი იყო ლენინგრადის საბჭოს წევრი. 1929 წელს მარი ლენინის სახელობის პრემიის მეცნიერული შრომებისათვის. 1930 წელს მხცოვანი მეცნიერი შიდის კომუნისტური პარტიის რიგებში. 1931 წლიდან ირჩევენ საკავშირო ცაკის წევრად, ხოლო 1933 წელს სამეცნიერო-საბიბლიოთეკო დამსახურებისათვის ნ. მარს პარტია და ხელისუფლება აჯილდოებს ლენინის ორდენით და ანიჭებს დამსახურებული მეცნიერის წოდებას.

უმაღლეს ნ. მარი, როგორც სამეცნიერო ჯგუფების ალმზრდელი. თავის გიგანტურ კვლევის მუშაობაში იგი თავიდანვე ახალგაზრდა ენაჭიერეს მოწვევებს, ამავითანავე ისეთი მეცნიერი, რომელსაც იმდენი სახელოვანი მიწაზე გამოუზარდა, რამდენიც ქვეყნას ნ. მარმა მისცა. პროფესორ მარის ფილოლოგიური სკოლიდან გამოვიდნენ ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ი. მეშჩანინოვი, ი. ორბელი, ლ. ფინკელი, პროფესორები ი. ყიფშიძე, კ. დონდუა, ვ. ბეარიძე, ვ. ალავერ, ა. ჭენკო, ადოლი, რ. ბლეიკ (ამერიკა), მ. ბრიერი (საფრანგეთი) და მრავალი სხვა.

სიკვდილამდე წინა თვეებში მარი წერდა: „ადამიანი კვდება ინდივიდუალურად სომატიკური სიკვდილით, მაგრამ არ კვდება სახოგადოებრივად; თავისი ქცევითა და შემოქმედებით ის გადადის ცოცხალ გარემოში—სახოგადოებრიობაში. ის განაგრძობს სიცოცხლეს მათში, ვინც ცოცხალი რჩება, თუ მართლაც რომ ჭეშმარიტად ცოცხლობდა სიცოცხლეში და არ მიემგზავრებოდა მკვდარს. ცოცხალი კოლექტივი მკვდრეთით აღადგენს გარდაცვალებულთ".

ეს სიტყვები საუკეთესოდ შეეფერება თვით ნიკო მარს, რომელიც საბჭოთა მეცნიერების ორგანიზაციის აქტიური მონაწილეა და მისი სახელოვანი ტრადიციების დამამშვენებელი.

დოცენტი შ. ძიძიგური

უკრაინის მე-2 ფრონტი

ტყუპი ძმები საბჭოთა კავშირის გმირები დიმიტრი ეკვთიმეს-ძე (მარჯვნივ) და იაკობ ეკვთიმეს-ძე ლუკანინები. ისინი ერთად წავიდნენ წითელ არმიაში და მუდამ ერთს ნაწილში ებრძვიან. ერთი ქვეშეხის მეთაურია, მეორე კი — მეშიზნე. მათ ბრძოლებით განვლეს სტალინგრადიდან კარპატებამდე. ბელგოროდთან ბრძოლაში იმ საარტილერო ნაწილის წინააღმდეგ, რომელშიც ძმები ლუკანინები მსახურობენ, გერმანელებმა 100 ტანკი გამოიყენეს. არტილერისტები გაუმკლავდნენ. მიბრაჯნით მათ დააზიანეს გერმანელთა 37 მანქანა. მეორეს მამაცობა ლუკანინებმა შემდეგს შეტაკებებშიც გამოიჩინეს. მათს ანგარიშზეა მტრის ათობით მოსპობილი მანქანა.

ომამდე ძმები დ. და ი. ლუკანინები კალუგის ოლქის მახასლაის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი მაიაკის" წევრები იყვნენ.

საკადრო

მზადება ახალი სამეურნეო წელისათვის

მეჯი ორთქლმავალი, მეჯი ვაგონი სამშობლოს

— უზრუნველყოფთ მომავალ 1945 წლის მეტი ორთქლმავლის, მეტი ვაგონის, მეტი საქონელგადაზიდვის დეტალების გამოშვებას!—ამ ლოზუნგით ემზადებიან ახალი საქმეურნეო წლის შესახვედრად სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში.

სექტემბრისა და ოქტომბერში მოპოვებული საწარმოო წარმატებანი ნოემბერში ამ ვერ შეინარჩუნეს. გეგმის შესრულების მთავარი მაჩვენებლები, როგორც ორთქლმავლებისა ისე საბაგონო და სამეზავრო ვაგონების გამოშვების დარგში, ნოემბრის ბოლოს არ იყო დამაკმაყოფილებელი. ქარხნის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ აქედან სწორი დასკვნა გააკეთეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ლონისძიებათა განხორციელებას იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ამბოლოდნენ ქარხნის კოლექტივის მაღალნაყოფიერ მუშაობას. დეკემბრის პირველ ნახევარშივე შესამჩნევი გახდა ამ ლონისძიებათა განხორციელების შედეგები. ახლა ქარხანა ზუსტად იცავს როგორც გეგმების, ისე ორთქლმავლების გამოშვების გრაფიკს. არის ყველა ნიშანი იმისა, რომ დეკემბრის დავალებებს ქარხნის კოლექტივი პირნათლად შეასრულებს.

ქარხნის სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ამუშავებენ ახალ ლონისძიებებს მომავალი სამეურნეო წლის ყოველმხრივ მოსამზადებულად შეხვედრისათვის.

რა ამბავი ჰქონდა ქარხნის მუშაობას 1944 წელს, რა იყო იმის მიზეზი, რომ ორთქლმავლებისა და ვაგონების გამოშვების გეგმა ამ მხოლოდ ზოგ თვეში სრულდებოდა?

ქარხანაში ჩვეულებრივ მუშაობა ასე მიმდინარეობდა: ყოველი თვის პირველსა და მეორე დეკადაში მოდენებული მუშაობა იყო, ხოლო მესამე დეკადაში ერთი დაკვრით ცდილობდნენ მთელი თვის გეგმა შეესრულებინთ. ამას ამერიდან საბოლოოდ უნდა მოელოს ბოლო.

1944 წელს ქარხნის კოლექტივის საწარმოო წარმატების დიდად ამბოლოდა ზოგი საამქროს უბნის ჩამორჩენილობა. ეკონომიკურ თვეებამდე. მაგალითად, სუსტი იყო ორთქლმავლების აწყობი საამქროს მუშაობა. სუსტად მუშაობდა ალრეთვე მექანიკური. ანუ როგორც ამ ეწოდებენ, სახარატო საამქრო. აწყობი საამქრო განსაზღვრულ ვადებში ვერ იღებდა მეზობელი საამქროებიდან, ტემპერატურად მექანიკური საამქროდან, ორთქლმავლების სარემონტოდ საჭირო დეტალებს. და ამის გამო იფუშებოდა ორთქლმავლების რემონტის გრაფიკი.

აგვისტოდან ამწყობი საამქრო განიტკიცებული იქნა ახალი ადამიანებით. შეიცვალა იქნა საამქროს ხელმძღვანელობა და საქმეს გაუფუჯობესება დაეტყო. ახლა ქარხნის მუშაობაში ყველაზე „ვიწრო ადგილს" წარმოადგენს მექანიკური საამქრო. რომელიც ვალდებულია საორთქლმავლე დეტალები მიაწოდოს ამწყობ საამქროს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ (პარტკომის მდივანი ამხ. დ. ცირეკიძე) მექანიკური საამქროს მუშაობის შესწავლამ გამოავლინა შემდეგი: მექანიკურ საამქროში მუშაობელი საკმაოზე მეტიც ჰყავთ, მაგრამ მცირეა მაღალკვალიფიციური მუშების რაოდენობა. დაზგები და მოწყობილობა (განსაკუთრებით სარანდავი დაზგები) ორასკეცად აქვთ და რაც აქვთ ისიც შეკეთებას საჭიროებს. შრომის დისციპლინა დაბალია, ახალმოსული მუშების კვალიფიკაციის ამაღლებაზე საამქროში საკმაოდ არ ზრუნავენ. დაბლოებით ასეთივე სურათია საკვანძო საამქროში, სადაც განსაკუთრებით ზამთრის პირობებში მუშობა ბევრად გართულებულია.

რას უნდა მოეცეს ყურადღება 1945 წლისათვის მზადების დღეებში?

მთავარი და გადაუდებელი ამოცანაა მექანიკურ საამქროში ტექნიკური სწავლების წრეების მუშაობის გამოცოცხლება, მიღწეული იქნა, რომ მაღალკვალიფიციური კადრებით დაკმაყოფილებულ იქნას საამქროს მოთხოვნილება. საამისოდ არ კმარა არსებული წრეების გაფართოება, ან ახალი წრეების ჩამოყალიბება, საჭიროა ამასთან ერთად გამოცდილი კვალიფიკაციური მუშების მიმიგრება ახალმოსულთა ჯგუფებთან და შექმნა იმის სტიმულისა, რომ ახალმოსულნი ბეჯითად დაეუფლონ პროფესიებს, ამ სტიმულის შექმნის საშუალება ახლა ქარხანას აქვს.

მეორე გადაუდებელი ამოცანაა დაზგებისა და მოწყობილობის რემონტი ისე, რომ მიმდინარე მუშაობას ხელი არ შეეშალოს.

შემდეგი ამოცანა: საორთქლმავლე დეტალების მარაგის შექმნა. თბილისი მთელმა რიგმა საწარმოებმა ამ მხრივ დიდი დახმარება აღუთქვეს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას და ახლა საჭიროა ამ დაპირების შესრულება. საორთქლმავლე დეტალების მარაგის უქონლობა ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ 1944 წლის ზოგ თვეში ქარხანამ ორთქლმავლების გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა.

საგაგონო მეურნეობის დარგში საჭიროა ხე-ტყის მასალის, მომარაგების გაუმჯობესება. ახლა ქარხანა ამ მასალას დიდი რაოდენობით იღებს და საჭიროა საქმე ისე მოაწყონ, რომ მომავალშიც მომარაგება არ შეფერხდეს.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს პროფესიათა შორის შეჯიბრების გაშლას, შრომის დისციპლინის შემტკიცებას და იმ მოწინავეთა წახალისებას, რომლებიც საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი მოვალეა საბრძოლო მზადყოფნით შეხვდეს ახალ სამეურნეო წელს, მისცეს ქვეყანას მეტი ორთქლმავალი, მეტი ვაგონი.

დ. ამირანაშვილი

პროფესორი ვ. ზ. ღვალაძე

საქართველოს მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 17 დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ორდენოსანი პროფესორი ვარლამ ზაქარიას-ძე ღვალაძე.

ვ. ზ. ღვალაძე დაიბადა 1893 წელს სოფელ მორეგეგეში, ქიათურის რაიონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქალაქ თბილისში. 1923 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. ნიშიეთ ახალგაზრდა აგრონომი 1924 წელს მიწვეული იყო ასისტენტად ენციმიის კათედრაზე. 1928-30 წლებში მუშაობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოს კასტრიეგთან. 1930 წელს დამტკიცებულ იქნა დოცენტის თანამდებობაზე. 1936 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ამავე წელს მიიღო პროფესორის წოდება. ხელმძღვანელობდა ბიოქიმიურ საკვლევ სადგურს. აგრეთვე ბიოქიმიისა და ორგანული ქიმიის კათედრას ლ. ბ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

1931-1935 წ. ვ. ღვალაძე თელავში ხელმძღვანელობდა მევენახეობა _ მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის ენციმიიურ ლაბორატორიას, ამავე წლებში კითხულობდა ტექნიკური მიკრობიოლოგიის კურსს ამიერ-კავკასიის ქიმიურ-ტექნიკურ ინსტიტუტში.

ოცი წლის სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შედეგად ვ. ღვალაძემ საქართველოს მისცა მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი. ბევრი მისი მოწაფე, რომელსაც სამეცნიერო ხარისხი აქვს, დღეს წარმატებით მუშაობს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში და პედაგოგიურ ასპარეზზე.

ვ. ღვალაძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული სამეცნიერო შრომა, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე. ყველა ამ შრომაში ნათლად გამოსჭვივის განსვენებულის ღრმა ერუდიცია, ეროცხალი, ორიგინალური აზროვნება და ის უმწიკლო მეცნიერული კეთილსინდისიერება, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო მთელი მისი პროფესიონალისათვის.

ამხ. ვ. ღვალაძე დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხელმძღვანელობის დარგში. 1941-43 წლებში იგი, როგორც დეკანი, განაგებდა ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, 1943 წლიდან დანიშნა ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო პედაგოგიურ დარგში.

1941 წელს ამხ. ღვალაძე შეეფიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

დიდი სამეცნიერო დამსახურებისათვის ამხ. ღვალაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი სობჭის პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1942 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1943 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ამხ. ვ. ღვალაძის სახით ჩვენს რიგებს გამოაკლდა თავდადებული მუშაკი, ერთგული ქვეგამარი და ახალგაზრდობის შესანიშნავი ალმზრდელი, პროფესორ ვ. ზ. ღვალაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ამათ შორის, ვინც მის გვერდით მუშაობდა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ხ. ხოშტარია, ზ. კეცხოველი, გ. ალავიძე, ა. ბუჩუკური, შ. ალაპაშვილი, ბ. იაკობაშვილი, ნ. კეცხოველი, ტ. კვარაცხელია, ლ. ქალანდაძე, კ. მოდებაძე, პ. ქომეთიანი, ი. ლომოური, დ. გიდეონაშვილი, კ. ამირეჯიბი, ა. დიდებულიძე, ლ. დეკაპრელევიჩი, ვ. გულისაშვილი, ხ. დურმიშიძე, ნ. ხომეზურაშვილი, ი. ბათიაშვილი, ნ. ლაკეპიანი, გ. ჯაფარიძე, ი. ჩხუბიანიშვილი, მ. კობახიძე, ვ. კაკაბაძე, რ. ნიკოლაძე, ლ. ყანჩაველი, გ. ჩაგელიშვილი, პ. აზარაშვილი, ნ. გელაშვილი, ე. ჯიქია, ე. ფოფხაძე, ი. სარიშვილი, გ. ტარასაშვილი, მ. ბერიძე, ბ. ივანოვი, ვ. ქანთარია, მ. რამიშვილი, ვ. დარახველიძე.

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

(აკადემიკოს ნიკო მარის გარდაცვალების ათი წლისთავი)

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია: მძიმე ბრძოლები გრძელდება იმ სექტორებში, სადაც მტერმა იერიშები დაიწყო, სახელდობრ მონშაუს და უწმპაუს რაიონში, ჟარეთვე გერმანიისა და ლუქსემბურგის საზღვრის სამხრეთ უბანზე.

მოკავშირეთა ჯარები ლინიზის რაიონში ოპერაციებს ეწევიან მტრისაგან ეფრმისა და მიულენდორფის გასაწმენდად. ფილიგენისა და საარლაუტერნის მახლობლად მდებარე ხიდწინა სიმაგრეთა რაიონში მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ ნელა წინსვლას და სპობენ მტრის სიმაგრეებს. საარგემუნდის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მოკავშირეები მიადგნენ ტყიან ადგილს და ერთ მილზე იმყოფებიან ჰამკირხენის ჩრდილოეთით, ერთვგვარი წარმატება მიიღწეულია ვოლსჰაიმისა და მედელსჰაიმის რაიონში. ბიტშის მახლობლად მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს მაეინოს ახის სიმაგრეები, რომლებსაც გერმანელები შეუპოვრად იცავდნენ. ვისენბურგის ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეებმა წინ წაიწიეს ორი მილით და შეავიდნენ გერმანულ სოფლებში ბუნდენტალსა და ნიდერშლეტენბახში. გაათვრებული ბრძოლები გრძელდება კოლმარის ჩრდილო-დასავლეთით, მილწეულია განსაზღვრული წარმატებანი ზემო ვოგეზებში.

გუშინ ღამით მძიმე ბომბდამშენთა მძლავრმა შენაერთმა იერიში მიიტანა მტრის გიმებზე ვიდინის ნავსადგურში ბალტიის ზღვაზე.

ლონდონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ბრძოლათაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, მეგ-8 არმიის ფრონტზე გრძელდება მძიმე ბრძოლები ქალაქ ბანიაკავალესთან და ფაენცის ჩრდილო-დასავლეთით, მეგ-5 არმიის ფრონტზე საომარი ოპერაციები პატრულთა მოქმედებით განისაზღვრებოდა.

გუშინ ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს ესხმოდნენ სამხედრო ობიექტებს გერმანიაში, ავსტრიასა და უნგრეთში. ინგლისის მძიმე და საშუალო ბომბდამშენებმა დაბომბეს რკინიგზები და გზატკეცილები იუგოსლავიაში.

სახსართა შეგროვება ირანში გენერალ ბაგრამიანის სახელობის საჯარო კოლონის ფონდისა და წითელი არმიის გამარჯვების ფონდისათვის

თეირანი, 18 დეკემბერი. (საკდესი). ქალაქ რეშტში მცხოვრებმა სომხებმა გენერალ ბაგრამიანის სახელობის საბანკო კოლონის ფონდში შეიტანეს 90.000 რიალი.

ყაზვინის სომხურმა კოლონიამ ამ ფონდისათვის სახსრების შემგროვებელი ცენტრალური კომისიის ანგარიშზე 75.000 რიალი გაგზავნა.

თეირანი, 18 დეკემბერი. (საკდესი). ყაზვინის მოსახლეობამ უკანასკნელი თვის განმავლობაში წითელი არმიის გამარჯვების ფონდში 120.000 რიალი შეიტანა; აქედან 13.000 რიალი ყაზვინის გზის მშენებლობის მუშებმა შეაგროვეს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲔᲡᲮᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲡ

ვაშინგტონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ამერიკის „მფრინავი ციხეების" მარკის რამდენიმე ბომბმაძლავრმა მფრინავმა იაპონიის ტერიტორიაზე ბაზებიდან მოქმედებენ, დაბომბა სამრეწველო ობიექტები კიუსიუს კუნძულზე (იაპონია).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲑᲒᲠᲘᲕᲔᲡ ᲑᲔᲚᲒᲘᲐᲨᲘ

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ამერიკელთა არმიის ფრონტის ტბანზე იმყოფება ბელგიაში, იუწყება, რომ ამერიკელთა. ამ ბატალიონის გადარჩენილმა ჯარისკაცებმა, რომელიც გერმანიაში მოხვდა გერმანის ჯავშანსატანკო კოლონის წინსვლისას ბელგიაში, განაცხადეს, რომ გერმანელმა ტანკისტებმა ტყვიამფრქვევით დახვრიტეს 150 ამერიკელი სამხედრო ტყვე.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲒᲠᲔᲚᲘ „ᲓᲘᲡᲞᲐᲜᲘᲘ"

სტოკჰოლმი, 19 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სკანდინავიის დეპეშათა ბიუროს იუწყება, სალაშის „მთავრობის" ახალმა დესპანმა ბერლინში ანდრიას მაჩარმა ჰიტლერელ ელჩალისტებთან ინტერვიუში დაადასტურა ხმები იმის შესახებ, რომ ძლიერდება დეზერტირობა უნგრეთის არმიაში და საბოტაჟი უნგრეთის რკინიგზებზე. მაჩარის განცხადებით, უნგრელმა ხელისუფლებამ მრავალი კაცი დაუპატიმრეს რკინიგზელთა შორის და ბევრი მათგანი საჯაროდ ჩამოახრჩეს.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲯᲔᲠᲐᲯᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲯᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

ლონდონი, 17 დეკემბერი. (საკდესი). როგორც აფის საგენტო ჰაზანიდან იუწყება, ნაციონალური განთავისუფლების სადეპარტამენტო კომიტეტების ყრილობაზე გამოსული ბევრი დელეგატი მოითხოვდა წევნდის დაჭარბებას. ისინი ლაპარაკობდნენ საფრანგეთის ზოგიერთ რაიონში „მეხუთე კოლონის" არსებობაზე.

ყრილობამ მიიღო რეზოლუციები, რომლებშიც გამოთქმულია საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის სიმპატიები საბერძნეთის ნაციონალური ფრონტისა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტისადმი.

მოქალაქე ბარბარე ნიკოლოზის-ასულ კვასხვაძემ, მცხოვრებმა რაყის ქ. № 7, ალძრა საქმე ძნელაძის ქ. № 48 მცხოვრებ მოქალაქე შალვა უარამა-ნის-ძე კვასხვაძისთან, განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება ქ. თბილისის ბერიას რაიონის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი მწუხარებით იუწყებიან გაზეთ „ქობულეთელი კოლმეურნის" რედაქტორის, რაიკომის პლენუმის წევრის ალექსანდრე მათეს-ძე ლომთაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/XII, ბათუმში სოფელ სასაფლაოზე.

კობახიძე, ბოვიანი, ნაცვლიშვილი, წერეთელი, ფიჩხაია, ქანთარია, ახალაია, არუნოვი, ჩილინგაროვი, ღვამიჩავა, კობალეიშვილი, არუთინოვი, რაფაელოვი იუწყებიან სოსო კეკელიას გარდაცვალებას.

„თბილისელ-ბოსტანგაჭრობის" კოლექტივი იუწყება ნ. ვ. დოლაბერიძის მამის ეახილ ლუკას-ძე დოლაბერიძის გარდაცვალებას.

მეუღლე ვარვარა, შვილები შალვა, გივი, ელენე, ქეთი, რძლები შუშანა, ნენუ, შვილიშვილები იუწყებიან სამსონ ხაყვარელიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 20/XII, 5 ს. I შირშოვის, 18.

მეუღლე ზინა შვილებით, და გოგოლა, რძალი ალექსანდრა, ძმები ვიქტორ ოჯახიბით და ლეონიდე იუწყებიან ვეტერან პავლე შარაშიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 24/XII, 1 ს. შაქრინი, 53.

ცოლი ეკატერინე, შვილი კოტე ცოლ-შვილით ხალდასტანიშვილები იუწყებიან დიმიტრი ლევანის-ძე ხალდასტანიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. გამოსვენება 22/XII, 4 ს. ბარნოვის, 79.

საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი იუწყება პროფესორ ვარლამ ღვალაძის გარდაცვალებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის თანამშრომლები იუწყებიან სოფლის მეურნეობის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის სსსწავლულ მეცნიერო ნაწილში, პროფესორ ვარლამ ზაქარიას-ძე ღვალაძის გარდაცვალებას.

საქართველოს ბოსტნეულ-ბაღჩეულ-ბაღეულ-ყურძენ-ღვინის ინსტიტუტის ბოსტნეულ-ბაღჩეულ-ბაღეულ-ყურძენ-ღვინის ინსტიტუტის ბოსტნეულ-ბაღჩეულ-ბაღეულ-ყურძენ-ღვინის ინ